33-ე განყოფილება დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

განსახილველი საკითხები

- დაკავშირებული მხარის განმარტება
- განმარტებითი შენიშვნები
- შედარება სრულ ფასს-თან

დაკავშირებული მხარის განმარტება

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

დაკავშირებული მხარის განმარტება

საწარმო J-ს ფლობს და მართავს ოჯახი X— ბატონი და ქალბატონი X და მათი 2 შვილი (ქალბატონი Y და ქალბატონი Z).



დაკავშირებული მხარის განმარტება



საწარმო A და საწარმო B დაკავშირებული მხარეები არიან?

დაკავშირებული მხარის განმარტება

		X-ის გავლენა B-ზე		
		კონტროლი	ერთობლივი კონტროლი	მნიშვნელოვანი გავლენა
X-ის გავლენა A-ზე	კონტროლი	დიახ – 33.2(ბ)(i)	დიახ– 33.2(ბ)(ii)	დიახ – 33.2(ბ)(ii)
	ერთობლივი კონტროლი	დიახ – 33.2(ბ)(ii)	დიახ – 33.2(ბ)(iii)	დიახ – 33.2(ბ)(iv)
	მნიშვნელოვანი გავლენა	დიახ– 33.2(ბ)(ii)	დიახ – 33.2(ბ)(iv)	აუცილებლად დაკავშირებულები არ არიან

დაკავშირებული მხარის განმარტება



საწარმო A და საწარმო B დაკავშირებული მხარეები არიან?

დაკავშირებული მხარის განმარტება

		ოჯახი X-ის გავლენა საწარმო B-ზე			
		კონტროლი	ერთობლივი კონტროლი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი	მნიშვნელოვანი გავლენა
ოჯახი X-ის გავლენა საწარმო A-ზე	კონტროლი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
	ერთობლივი კონტროლი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი	დიახ	დიახ	აუცილებლად დაკავშირებულები **არ არიან**	აუცილებლად დაკავშირებულები **არ არიან**
	მნიშვნელოვანი გავლენა	დიახ	დიახ	აუცილებლად დაკავშირებულები **არ არიან**	აუცილებლად დაკავშირებულები **არ არიან**

დაკავშირებული მხარის განმარტება

აუცილებელი არ არის, რომ შემდეგი საწარმოები ერთმანეთისთვის დაკავშირებული მხარეები იყვნენ:

- ორი საწარმო, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო დირექტორი ჰყავთ.
- ერთობლივი საქმიანობის ორი სრულუფლებიანი მონაწილე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობაზე;
- რომელიმე შემდეგი მხარე მარტო იმიტომ, რომ ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობა აქვს საწარმოსთან: ფინანსური რესურსების მომწოდებლები; პროფკავშირები; კომუნალური მომსახურების საწარმოები; და სახელმწიფო დაწესებულებები და უწყებები.
- ცალკეული მომხმარებელი, მომწოდებელი, გამსაღებელი (დისტრიბუტორი), რომელთანაც საწარმო მნიშვნელოვანი მოცულობის საქმიან ოპერაციებს აწარმოებს - მხოლოდ ამ საქმიანობიდან მიღებულ შედეგებზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო.

განმარტებითი შენიშვნები

- გაამჟღავნეთ დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობები, მხოლოდ მაშინ თუ საწარმოს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა ოპერაციები.
- **გამონაკლისი**—სათავო საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.
  - ასევე, სათავო საწარმოსა და, თუ განსხვავებულია, საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სახელწოდებები.
  - თუ არც სათავო საწარმო და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ ამზადებს ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, მაშინ საწარმომ აუცილებლად უნდა მიუთითოს სათავო საწარმოს იერარქიულ სტრუქტურაში შემდეგი ყველაზე ზემდგომი რანგის სათავო საწარმოს სახელწოდებაც (თუ არსებობს), რომელიც აქვეყნებს ფინანსურ ანგარიშგებას.

განმარტებითი შენიშვნები

- ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ ჯამურად:
  - აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების გამჟღავნებითი შენიშვნების დამატებით ნაწილს (იხილეთ შემდგომი სლაიდი)

განმარტებითი შენიშვნები

- დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები (დმშო) არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, **მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა.**
- იმ შემთხვევაში თუ საწარმოს გააჩნია დმშო მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის შრსაფასებლად.
- არ უნდა მოხდეს იმის გაცხადება, რომ დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხორციელდა ,,გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით, თუ შეუძლებელია ამგვარი პირობების დასაბუთება.

განმარტებითი შენიშვნები

დმშო განმარტებითი შენიშვნები მოიცავს (სულ მცირე):

- სამეურნეო ოპერაციების თანხებს;
- დაუფარავი ნაშთების თანხას და:
  - მათი დაფარვის ვადებსა და პირობებს, მათ შორის, ინფორმაციას უზრუნველყოფის არსებობის შესახებ, ასევე მათი დაფარვისათვის საჭირო ანაზღაურების ფორმას; და
  - მონაცემებს გაცემული ან მიღებული გარანტიების შესახებ;
- დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საეჭვო ვალების ანარიცხებს; და
- დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საეჭვო ვალებთან დაკავშირებით აღიარებულ ხარჯებს.

განმარტებითი შენიშვნები

- ერთეულების, რომელთაც აქვთ მსგავსი ბუნება, ერთობლივად გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განცალკევებული გამჟღავნება არის საჭირო ფინანსურ ანგარიშგებაში დმშო -ის ეფექტების უკეთ გასაგებად.
- განცალკევებით უნდა გამჟღავნდეს თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი მხარისათვის:
  - საწარმოები, რომლებიც აკონტროლებენ, ერთობლივად აკონტროლებენ ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საწარმოზე
  - საწარმოები, რომლებზეც საწარმოს აქვს კონტროლი, ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა
  - საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის პეროსნალი (ჯამურად)
  - სხვა დაკავშირებული მხარეები

განმარტებითი შენიშვნები

- გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ ოპერაციების გამჟღავნებებზე (ე.ი ურთიერთობის შინაარსი უნდა გამჟღავნდეს).
  - სახელმწიფო (ეროვნული, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლება), რომელიც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს ან გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა მასზე; და
  - სხვა საწარმო, რომელიც დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა იმის გამო, რომ იგივე სახელმწიფო აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოსა და სხვა საწარმოს, ან გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ორივე მათგანზე.

შედარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.

- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია:
  - ბასს 24 მოითხოვს გამჟღავნებას ცალ-ცალკე: ა) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები; ბ) შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები; გ) სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები; დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული გასამრჯელოები; და ე) აქციებზე დაფუძნებული გადახდა.
  - მსს ფასს ითხოვს ჯამურად გამჟღავნებას.